ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ა № 64

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში, 2014 წლის 26 ნოემბერს.

ერთის მხრივ, წარმოდგენილი აიპ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" დირექტორის მარიამ გოგობერიშვილის სახით და მეორეს მხრივ ინდმეწარმე ვახტანგი კუჭაშვილის სახით (შემდგომში- მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღისათვის" (სახელმწიფო შესყიდვების 09100000 კოდით) სათბობი შეშის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია საწვავი შეშის შესყიდვა აიპ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღისათვის".

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება მიმწოდებლის ხარჯების გათვალისწინებით განისაზღვრება **2160.00** ლარის ოდენობით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ადგილზე მიტანით, ეტაპობრივად 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების აგდილია საჩხერე, საბავშვო ბაღის განყოფილები დანართის მიხედვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და სხვა დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღის განმავლობაში.
6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
– განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

–მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
– გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულებას გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10 ფორს–მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

11 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.სხვა პირობები

12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი –მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

შემსყიდველი---------- მიმწოდებელი----------

შემსყიდველი:

არასამეწარმეო იურიდიული პირი
"საჩხერის გაერთიანებული საბავშვო
ბაღი"
მისამართი; საჩხერე, თავისუფლების ქ. 4
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. საქართველოს
"ლიბერთი ბანკის' საჩხერის ფილიალი
ბანკის კოდი 220101467
ანგარიშის ნომერი GE02LB011512462169000
საიდენტიფიკაციო ნომერი 239396346

არასამეწარმეო იურიდიული პირი
"საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის"
დირექტორი: მ.გოგობერიშვილი

მიმწოდებელი:

"ი/მ ვახტანგი კუჭაშვილი"

მისამართი. ქსაჩხერე, ლესელიძის ქ №1
საბანკო რეკვიზიტები; ს.ს."ლიბერთი ბანკი"

LBRTGE22
ა/ა GE58LB0112126911133000
საიდენტიფიკაციო ნომერი 38001012400

დირექტორი: ვ.კუჭაშვილი

დანართი #1

ჩამონათვალი ერთეულის ფასების მიხედვით

		ჩამონათვალი	ერთეულის ფასი	რაოდენობა კუბ.მეტრი	თანხა
1	09100000	სარეკის საბავშვო ბაღი	90,00	9	810,00
	საწვავი შეშა	ჭალის საბავშვო ბაღი	90,00	3	270,00
		მერჯევის საბავშვო ბაღი	90,00	6	540,00
		სხვიტორის საბავშვო ბაღი	90,00	3	270,00
		საირხის საბავშვო ბაღი	90,00	3	270,00
				24	2160,00

აიპ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის"
დირექტორი: მ.გოგობერიშვილი

ი/მეწარმე: ვ.კუჭაშვილი